FOR A POLITICAL PORTRAIT OF NOE ZHORDANIA

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტისათვის

Ucha Okropirdze
PhD in History, Principal Researcherof Niko Berdzenishvili Institute of
Shota Rustaveli StateUniversity. Batumi, Georgia.
ელფოსტა okropiridze.ucha@mail.ru
ტელ.: 593 93 17 11

Abstract

The article gives the political portrait of Noe Zhordania (1868-1953), a prominent Georgian political figure, leader of Georgian Social Democrats, and Chairman of the First Republic of Georgia (1918-1921). The critical examination of scientific literature, documentary materials, and memoirs (N. Zhordania, V. Nozadze, A. Asatiani, G. Gvazava, and Sh. Odisharia) makes it clear that N. Zhordania and Georgian Social Democrats until the Bolshevik coup in October of 1917 in Russia and dissolution of the All-Russian Constituent Assembly by the Bolsheviks, fought ruthlessly against the idea of the restoration of the national and state independence of Georgia. Despite the fact that in 1918, N. Zhordania and Georgian Social Democrats split from Bolshevik Russia to support the independence of Georgia, N. Zhordania remained loyal to the Bolshevik wing of the Russian Social Democrats to the end. This is evidenced by a number of political decisions made by him in his exile.

Key words: Noe Zhordania, Georgian Social Democrats, independence of Georgia, Georgian emigrants.

უჩა ოქროპირიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი
ORCID ID: 0000-0002-1696-0781
593 93 17 11; okropiridze.ucha@mail.ru

აბსტრაქტი

სტატიაში განვიხილავთ ნოე ჟორდანიას (1868-1953), ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის თავმჯდომარის პოლიტიკურ პორტრეტს. სამეცნიერო ლიტერატურის, დოკუმენტური და მემუარული (ნ. ჟორდანია, ვ ნოზაძე, ა. ასათიანი, გ. გვაზავა, შ. ოდიშარია) მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე თვალნათლივ ჩანს, რომ ნ. ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთში 1917 წ. ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე და ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამდე დაუნდობლად ებრძოდნენ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას. 1918 წ. საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერით ნ. ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები მართალია გაემიჯნენ ბოლშევიკურ რუსეთს, მაგრამ ნ. ჟორდანია ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატების მენშვიკური ფრთის ერთგულ ჯარისკაცად. ამ უკანასკნელზე მიგვითითებს მის მიერ ემიგრაციაში ყოფნის დროს გადაგმული არაერთი პოლიტიკური ნაბიჯი.

საკვანძო სიტყვები: ნოე ჟორდანია, ქართველი სოციალ-დემოკრატები, საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ემიგრანტები.

შესავალი

საგანგებო ყურადღებას იქცევს ნ. ჟორდანიას და ზოგადად ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე და, განსაკუთრებით, 1918 წლის იანვარში დამფუძნებელი კრების გარეკვამდე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თუ საბჭოურ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში საერთოდ იგნორირებული იყო ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრეები, ბოლო ხანებში კი მეორე უკიდურესობა იჩენს თავს და მათ მიაწერენ ისეთ თვისებებს, რისთვისაც მათი ბიოგრაფია და მოღვაწეობის განვლილი გზა, არავითარ საფუძველს არ იძლევა.

მეთოდი

ისტორიულ-შედარებითი და კომპლექსურ-ინტენსიური, დაკვირვებისა და დეფინაციის მეთოდი.

შედეგები

ნაშრომში ახალ ისტორიულ ნაშრომებსა და საზღვარგარეთ გამოცემულ თუ უცხო ენიდან თარგმნილი ლიტერატურის გამოყენებითა, მათი ისტორიული ანალიზის საფუძველზე, გაკრიტიკებულია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიიდან თანამედროვეობაში გადმოყოლილი მცდელობა, - ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ კიდევ ერთხელ გამოცხადების შესახებ.

კვლევაში სათანადო მასალაზე დაყრდნობით მოცემულია, ნაშრომის „ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953“ ავტორის, ვ. გურულის, აღნიშნული თვალსაზრისით, არადამაჯერებელი და სათუო დებულებების უარყოფა.

განხილულია ამ საკითხზე აკადემიკოს გ. მელიქიშვილის მიერ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოცემული მეტად საჭირო და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაშრომებში ჩამოყალიბებული უტყუარი დებულებანი, რომელთაც მაშინ ზღვარი დაუდეს აღნიშნულ არაჯანსაღ ტენდენციას. გამოყენებულია თვით ნ. ჟორდანიას მიერ საზღვარგარეთ 1948 წელს გამოცემული ნაშრომებიდან „La problem Georgean” და 1933 წელს პარიზში გამოცემული სამახსოვრო „Aide Memoire”- საკვლევი თემის თვალსაზრისით საინტერსო მასალა და დებულებანი, რომელთაც საშუალება მომცეს უფრო

მყარი საფუძველი შემექმნა საკვლევი თემისთვის საჭირო სათანადო დასკვნებისათვის.

აღნიშნული მასალის საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით გამოტანილია საბოლოო დასკვნა, რომ „აქ წარმოჩენილი და განხილული მასალაც კი, სრულ საფუძველს გვაძლევს გაკეთდეს ერთადერთი უტყუარი დასკვნა: ნოე ჟორდანიას ნაშრომში მოტანილი და განხილული აღნიშნული ქმედებანი, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შინაარსი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, არავითარ საშუალებას არ იძლევა, იგი ქართული ეროვნული მოძრაობის თანამონაწილედ, მითუმეტეს, ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ წარმოვიდგინოთ.

ნაშრომში მოტანილი და გაანალიზებული მასალა, სრულ სფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნოე ჟორდანია ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არ შეიძლება ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ, პირიქით, იგი ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთგულ მსახურად.

როდესაც რუსეთში დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და რუსეთის უმთავრესი საბჭოს – პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოების ორხელისუფლებიანობით გამოწვეული ანარქია სუფევდა, ნოე ჟორდანიამ არ გამოიყენა რუსეთის დასუსტების ყველასათვის სასარგებლო მომენტი, როგორც ეს პოლონეთმა და ფინეთმა მოახერხეს. ფაქტია ისიც, რომ 1918 წლის 26 მაისის აქტისთვის მხარდაჭერით ნ. ჟორდანია და მისი მიმდევრები გაემიჯნნენ რუსულ ბოლშევიზმს და არა რუსეთს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ნ. ჟორდანია ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთის ერთგულ ჯარისკაცი.

მსჯელობა და დასკვნები

პროფ. ვ. გურული მიიჩნევს, რომ „ნოე ჟორდანია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე“ (გურული, 1999: 13). მიგვაჩნია, რომ ნ. ჟორდანიას პოზიციის ამგვარი შეფასება გადაჭარბებულია და, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თუ საბჭოურ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში საერთოდ იგნორირებული იყო ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრეები, ბოლო ხანებში კი მეორე უკიდურესობა იჩენს თავს და მათ მიაწერენ ისეთ თვისებებს, რისთვისაც მათი ბიოგრაფია და მოღვაწეობის განვლილი გზა, არავითარ საფუძველს არ იძლევა.

ცნობილია, რომ ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა დასის მოღვაწეობას პროგრესულად მიიჩნევდა მხოლოდ XIX საუკუნის 80-იან-90-იან წლებამდე, ამ დროიდან მოკიდებული ანუ სოციალ-დემოკრატიის ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, ნ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა, არათუ აღარ იყო პროგრესული, არამედ რეაქციული - ერის განვითარების შემაფერხებელი იყო.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ნოე ჟორდანია ვერ იქნებოდა ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე, როცა XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან, თავად საქართველოში პროგრესის მედროშეობაზე პრეტენზიის მქონე, ილიასა

და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობას პროგრესულადაც აღარ თვლიდა. ილიას მოღვაწეობის ნეგატიური შეფასება გაზეთ „კვალში“ 1900 წ. (№№ 7, 9, 11, 13, 16, 21, 23, 25, 26) გამოქვეყნებულ წერილების სერიალში „პრესა“ და „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“ და სხვა, ბოლოს დამთავრდა ილიას „ივერიის“ მიმართ კატეგორიული განაჩენით: „ასე თუ ისე, დღეს ჩვენს მწერლობაში „ივერიის“ წინამძღოლად ყოველ-მხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრისა, რეაქცია ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების“ (გურული, 1999: 28).

ნ. ჟორდანია ერთგან წერს: „ჩვენ ვებრძვით თ. ი. ჭავჭავაძის მიმართულებას, რამდენადაც ეს მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატა, და არა მის პიროვნებას...“ (გურული, 1999: 28).

ნოე ჟორდანიას ეს აღიარებაც კი, რომ ის ებრძვის ილია ჭავჭავაძის მიმართულებას, რომელიც მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატა, სრულებით არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ნოე ჟორდანია, რაიმე თვალსაზრისით ეროვნულ მოძრაობაში, ილიას მემკვიდრე იყო. პირიქით, ის იყო რსდმ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც თავის დროზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადების დადებითად აღქმაც კი გაუჭირდა. ვეთანხმებით ვ. გურულის მოსაზრებას: „ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება იყო არა ორი პიროვნების, არამედ ორი ეპოქის, ორი სხვადასხვა გაგების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება რთული ეპოქის შედეგი იყო და იგი რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა არსებულიყო“ (გურული, 1999:29).

ჭეშმარიტება ერთადერთია – ილია ჭავჭავაძე და ნოე ჟორდანია საქართველოს ისტორიული გზის სულ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები არიან და მათი ურთიერთ მემკვიდრეობის ამბავიც ისეთივე წარმოუდგენელი ბლეფია, ედუარდ შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მემკვიდრედ რომ გამოვაცხადოთ!

იაკობ გოგებაშვილი სრულიად მართებულად ამბობს: „იქნებ არცერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდა იმდენი მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“. სწორედ ამიტომაც, მოკლეს იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის მსახურებმა, რომ ასეთი გაუგონარი სისასტიკით ეძიათ მასზე შური საქართველოს გამოღვიძებისა და მისი ფეხზე დაყენების ცდისთვის.

როდესაც ილიას როლისა და მისიის განსაზღვრას ცდილობს აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი ამბობს: „თავისი, როგორც ეროვნული, ისე სოციალური იდეალების მისაღწევად თერგდალეულები, ილია ჭავჭავაძის ჯგუფი, უარყოფენ ძალმომრეობას, რევოლუციის გზას. (ამიტომაც შეცდომაა, როდესაც მათ რევოლუციურ-დემოკრატებს უწოდებენ),. ავტორის სამართლიანი მტკიცებით „მსგავსი დებულებანი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „თერგდალეულების“ შეფასებაში ხშირად ჭარბობს რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი“ (მელიქიშვილი, 1968: 72) და საბოლოოდ აკეთებს დასკვნას, რომ „შეუძლებელია ილიას და თერგდალეულების, „სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის

წინაპრებად გამოცხადება“ (მელიქიშვილი, 1978: 118-124), რითაც დიდმა მეცნიერმა ბოლო მოუღო ილია ჭავჭავაძის სოციალიზმის წინამორბედად გამოცხადების ცდას საქართველოში და აქედან გამომდინარე, მის მატერიალისტურ-დიალექტიკოსად წარმოჩენასაც.

„მოძრაობა, რომელსაც ილია მეთაურობდა, არ იყო მხოლოდ სოციალური და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც ის ეროვნულ მოძრაობას წარმოადგენდა; იგი ემყარებოდა არა მხოლოდ სოციალურსა და არა იმდენად სოციალურ პრინციპს, რამდენადაც ეროვნულს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება, - ჩვენი პირველი და უკანასკნელი ამოცანაა“... 1906 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში არჩევის შემდეგ ილიამ პირდაპირ განაცხადა: „არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“ (ჭავჭავაძე, 1962: 7).

სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ მან რსდმპ-ში საკუთარი პარტიული კარიერისათვის ბრძოლას გადააყოლა თავისი სამშობლოს არა მარტო ეროვნული, არამედ სამომავლო პოლიტიკური პერსპექტივის ინტერესებიც და რუსულ სოციალ-დემოკრატიას საქართველოში შემოუძღვა როგორც რსდმ პარტიის იდეოლოგიის ერთგული მსახური და მისი პროგრამის გამტარებელი. ამიტომაც მისი „ბრძოლის“ ეროვნულ ხასიათზე საუბარი შეიძლება იმდენად, რამდენადაც იგი ძალიან შორს იყო მისგან; მან ვერ შეძლო რსდმპ მეორე ყრილობაზე ლენინისა და მისი მომხრეების სიყალბესა და ველიკორუსულ თვითნებობას დაპირისპირებოდა, შემდე კი, თუნდაც აშკარად ემხილებინა იგი; თუ თავად ნოე ჟორდანიას დავუჯერებთ, ლენინი მას პირდაპირ მოთხოვნილებას უყენებდა: „ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეშიო“ (ჟორდანია, 1900: 108). სჯერდებოდა მისგან არაფრის მომცემ დაპირებებს, თავად ლენინს საშუალებას აძლევდა, თუნდაც სიყალბით გაეტანა თავისი, სწორედ ნოე ჟორდანიას „ეროვნული პროექტების“ საწინააღმდეგოდ. ნ. ჟორდანიას ეს უპრინციპობა, როგორც ისტორიკოსი ლ. ურუშაძე მართებულად ამბობს, კარგად გამოიყენა „ლენინურმა გვარდიამ“ ნოე ჟორდანიასა და საქართველოს წინააღმდეგაც, – რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ,

ნოე ჟორდანიამ ქართველი ერის ინტერესებზე მაშინ თქვა უარი, როდესაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი რსდმპ-ს შეუერთა და მის II ყრილობაზე, ფაქტობრივად, ვ. ლენინის სიყალბეთა თანაავტორი გახდა. ამის შემდეგ ის იყო არა ქართველი ერის პირველი კაცი, არამედ რუსული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი.

აშკარაა, რომ ნ. ჟორდანია რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და ვ. ლენინის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიის იდეურ ნიადაგზე პარტიაში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად და იგი მას სწორედ პირადი პარტიული კარიერისთვის სჭირდებოდა. ამიტომაც თავისი სამშობლოს წინაშე ნოე ჟორდანია იყო ამ კარიერას შეწირული კოლაბორაციონისტი, ხოლო იდეის სამსახურის თვალსაზრისით, ერთ-ერთი წარმატებული კონდოტიერი.; ერთადერთი, რაც ამ პროცესში ნოე ჟორდანიას შეიძლება აქტივში ჩაეთვალოს, არის ის, რომ იგი გაემიჯნა

ამ წმინდა წყლის რუსულ, ავანტიურას და ამიერკავკასიის სამართავად ხელი შეუწყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნას, რომელიც რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენამდე ლოდინის ფუნქციით აღჭურვა, ხოლო 1917 წლის ოქტომბერში იქ მომხდარ ბოლშევიკურ სახელმწიფო გადატრიალებამდე, რეგიონის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესამზადებლად თითქმის არაფერი გაუკეთებია.

ნოე ჟორდანიას, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს მისი საზღვარგარეთ მოღვაწეობა, თუ ამ მოღვაწეობის ქართველი ემიგრანტების მიერ შეფასებებიც. თავის 1948 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული საკითხი“ ნოე ჟორდანია წერს: „საქართველომ გადაწყვიტა გამოსულიყო მუსლიმანური გარემოცვიდან და დადგომოდა დასავლეთის ორიენტაციას, რომლისკენაც მიმავალი ერთადერთი გზა, მოსაზღვრე რუსეთზე გადიოდა... ამიტომაც საქართველომ პირი იბრუნა რუსეთისაკენ“... (Jordania, 1948: 5). ნ. ჟორდანიას აღნიშნული თეზა, რომ საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იძულებული იყო ორიენტაცია აეღო რუსეთზე, როგორც ერთმორწმუნე სახელმწიფოზე, საკმაოდ ძველი, ყავლ-გასულია და წარმოადგენს რუსული იმპერიული ისტორიოგრაფიის (შემდეგში საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის) მორიგ მონაჩმახს, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით დაუთმო რუსეთს ყველა თავისი სუვერენული უფლებები და საკუთარი ხელით დაიდგა საუკუნო მონობის უღელი. ამ ხელოვნურად შექმნილი თეზის საწინაღმდეგო აუარებელი უტყუარი ფაქტი და არგუმენტია უკვე გამოქვეყნებული, როგორც ქართულ ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა კვლავ მივყვეთ ნ. ჟორდანიას მსჯელობას და გავარკვიოთ ნაშრომში განხილულ საკითხთა მისეული ხედვის სიღრმე და ვითარებასთან შესაბამისობა.

„საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არ მიუღია არავითარი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, პირიქით, წლების განმავლობაში იგი იბრძოდა სამხედრო დაჯგუფებებისა და ანტანტის წინააღმდეგ. მაშინ, როცა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები იღებდნენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისაგან პოლიტიკურ და ერთგვარ სამხედრო დახმარებას... სწორედ ამაში მდგომარეობს ფუნდამეტური განსხვავების არსი (ლენინი)“ (Jordania, 1948: 5) – ლენინის სიტყვებით გვმოძღვრავს ნ. ჟორდანია.

როგორც ვხედავთ, 1948 წელსაც კი ვითარების შესაფასებლად ნ. ჟორდანიას მოჰყავს ვ. ი. ლენინის მოსაზრებანი და მასზე დაყრდნობით აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება რუსეთში არის ეროვნული ფენომენი, მაშინ როდესაც კავკასიაში და, განსაკუთრებით, საქართველოში ის წარმოადგენს უცხო მოვლენას, შემოტანილს რუსეთიდან შეიარაღებული ძალადობით“... ნ. ჟორდანია აქვე ამბობს: „ლენინი აგრძელებს – კავკასიის რესპუბლიკები უფრო აგრარულია, ვიდრე რუსეთი. ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი იყო და დღესაც რჩება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან საგრძნობლად მოწყვეტილი. კავკასიას

კი უფრო სწრაფად და ადვილად შეუძლია აღადგინოს კეთილმეზობლური ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები კაპიტალისტურ ქვეყნებთან... უფრო მეტი ლიბერალიზმი, მეტი წინდახედულება და მეტი დათმობა წვრილ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, გლეხებს“... ისევ ლენინის აზრებს აფეტიშებს ნ. ჟორდანია და შემდეგ გულმოკლული დასძენს: „კომუნისტმა მმართველებმა (კავკასიის რესპუბლიკებში და, კერძოდ საქართველოში – უ. ო.) არ შეასრულეს არცერთი ამ რჩევათაგანი (აი, თურმე რის იმედად ყოფილა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – უ. ო.) და ქვეყანა გადააქციეს სოციალურად და პოლიტიკურად რუსეთის პროვინციად“... (Jordania, 1948: 9). ჩვენ აქ, თავს უფლებას მივცემთ, ვიკითხოთ: კი მაგრამ რა? – რომ შეესრულებინათ ლენინის ეს რჩევები ბოლშევიკებს, საქართველო რუსეთისაგან დაპყრობილი აღარ იქნებოდა და ეს რაიმეს შეცვლიდა მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობაში?! ან კიდევ, 1948 წელსაც რომ ლენინისა და მისი რჩევების იმედად არის ნ. ჟორდანია, რას ნიშნავს ეს?! ნუთუ ამ ხნის განმავლობაში (1921-დან 1948 წლამდე) მან ვერ მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობაში რუსეთისა და ლენინის როლის სათანადოდ გააზრება?! ამ თვალსაზრისით ნ. ჟორდანიას ქმედებანი და აზრები ბევრ კითხვას ბადებს;

ნ. ჟორდანიას ამავე ნაშრომში მოჰყავს საბჭოა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ჩიჩერინის 1920 წლის 3 დეკემბრის პასუხი ლორდ კერზონის კითხვაზე ბათუმის შესახებ, სადაც იგი ამბობს: „რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ ეს არ გააკეთა. მთელი რუსეთის პოლიტიკა ემყარება პატარა ერების თვითგამორკვევის დაცვას და საქართველოსთვის არავითარი მოთხოვნა არ წაგვიყენებია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ ყოფილიყო დაკავებული მტრული ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ განუხორციელებია და არც განახორციელებს მტრულ აქციას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის დაკავებით თუ სხვაგვარად“... (Jordania, 1948: 11).

არსად არ ჩანს, რომ ლორდ კერზონის ამ „ენერგიულ შეკითხვაზე“, რუსეთის პასუხის შემდეგ, მის მიერ ჩადენილ აგრესიას დიდი სახელ-მწიფოები აქტიურად დაპირისპირებოდნენ და თუნდაც ამ აგრესიის დროს საქართველოს, ელემენტარულად, გამოსარჩლებოდნენ.

„ამასთან რუსეთმა მიიღო თურქეთის სამხედრო დახმარება“ - აცხადებს ნ. ჟორდანია (Jordania, 1948: 18) – და აშკარად ტყუის, რადგანაც დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქები, საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების იმედით, თვითონ მოიწვია; მათ კი უღალატეს და საკუთარი მიზნების განხორციელებას მიყვეს ხელი. ამასთან, საკმაო კითხვებს წარმოშობს აღნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული შემდეგი მოსაზრებანიც: „მან (საბჭოთა კავშირმა – უ. ო.) ხელი მოაწერა რეზოლუციას, რომელსაც კენჭი ეყარა იალტის კონფერენციაზე: „ ყოველი ერის უფლებაა აირჩიოს მმართველობის ის ფორმა, რომელშიც სურთ ცხოვრება“. ავტორი აქვე აკეთებს მეტად „გულუბრყვილო“ დასკვნას, რომ „ამგვარად, მოკავშირე ქვეყნებმა სავსებით უარყვეს ძველი იმპერიალისტური იდეოლოგია – მცირე ერების დაპყრობა დიდი ქვეყნების მიერ და იგი შესცვალეს ახალი

დოქტრინით: ერთა თავისუფლება, მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება და ერთიან ხალხთა ოჯახის დაარსება“, – და ფიქრობს, რომ „ამით გადაწყდა საქართველოს ბედიც - „სამართლიანობა ყველა დიდი და მცირე ერებისათვის“ (Jordania, 1948: 18).

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი, აშკარაა, რომ ნ. ჟორდანია ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში და ილუზიების ტყვეობაშია, ან ბევრ სხვასავით, საბჭოთა კავშირისა და სტალინის ხიბლში იყო ჩავარდნილი და ასეთი განცხადებებით იგი, ფაქტობრივად, გამორიცხავს სხვათა ჩარევის შანსსაც კი საბჭოთა კავშირ-საქართველოს ურთიერთობაში. მითუმეტეს, ნ. ჟორდანიას ეს მოსაზრებები გამოთქმულია მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ 1933 წლის 27 იანვრის „სამახსოვრო“-ში (Aide-Memoire, 1933), გაკრიტიკებულია რა რუსეთის, ევროპული სახელმწიფოებისა თუ ერთა ლიგის დამოკიდებულება საქართველოსადმი, აქვე მოყვანილია კანადის დელეგატის მაკდონალდის შეფასება რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო: „თითქმის უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში, – რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ სცნო საქართველო, დაიპყრო იგი ხელშეკრულების დარღვევით“ (1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება იგულისხმება – უ. ო.). იქვე მითითებულია, რომ „თუ ამას დავუმატებთ სსრ კავშირის კონსტიტუციის იმ პარაგრაფს, რომელშიც იგი ყველა ხალხს უტოვებს გამოყოფის უფლებას, როდესაც ეს მოესურვება, ადვილად მისახვედრია, როგორ დასცინის საბჭოები ყველა იმ პრინციპებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ცივილიზებული სამყარო“ (Aide-Memoire, 1933: 7).

ძალზე სამწუხაროა, რომ ამ დაცინვას ვერ გრძნობდა საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ის წარმომადგენელი, რომელსაც მისი ღირსების დაცვა ყველაზე მეტად ევალებოდა.

ვცადოთ, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განვითარებულ მოვლენათა არსს ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

გიორგი გვაზავას 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ქართული საკითხი და საერთაშორისო მდგომარეობა“, ვკითხულობთ: „საქართველოს პირველი გამოფხიზლება იყო საჩივრის წარდგენა ერთა ლიგაში, რომელიც იმ ხანად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში. მაგრამ ერთა ლიგა აღმოჩნდა მეტად ფრთხილი და გაუბედავი. მისი პოზიცია გახდა საკუთარი პრინციპების სისტემატიური უგულებელყოფა“ (Gvazava, 1938: 4-9).

იქვე აღნიშნულია, რომ გარკვეული დროის შემდეგ „რუსეთი თავად წარსდგა ერთა ლიგაში. იგი მიღებული იქნა საზეიმოდ; ეს არის აპოგეა. აგრესორის მიღებით ერთა ლიგა სანქციას აძლევს აგრესიას. ამრიგად, მისი როლი რადიკალურად შეიცვალა. ერთა ლიგა, რომელიც უნდა ყოფილიყო ხალხთა უფლებებისა და თავისუფლების დამცველი, გადაიქცა რუსეთის მპყრობელობის მცველად. რას ნიშნავს ეს?“ (Gvazava, 1938: 4) – სვამს კითხვას ავტორი.

აღნიშნულთან დაკავშრებით, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის

ცნობილი წარმომადგენელი შ. ოდიშარია თავის სტატიაში - „საქართველო ევროპისა და მოსკოვის პირისპირ“- მოგვითხრობს: „მან (ქართველმა ერმა – უ. ო.) ძლიერ განიცადა ბოლშევიკური ექსპანსიისადმი ევროპის გულგრილობა. რუსეთში დამკვიდრებული ბარბაროსული რეჟიმი ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური წრეების მიერ მიჩნეული იქნა „მხოლოდ რუსი ხალხის შინაურ საქმედ“... მეორე მხრივ, კი კომუნისტური ხელისუფლების მმართველები თავად არასდროს არ თვლიდნენ ბოლშევიზმს, როგორც „მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეს“, პირიქით, მათი უმთავრესი მიზანი იყო და დარჩა...კომუნისტური რევოლუციის გაჩაღება მთელს მსოფლიოში... ხოლო, გრძნობდა რა, ყოველივე ამას, - ევროპის მიზანი იყო, რომ მოეხდინა კომუნისტური საფრთხის ლოკალიზაცია და მიზნის მიღწევას შეეცადა ამ საფრთხის წინაშე თვალის დახუჭვით... დროებით მოკავშირეები რომ შეეძინათ, კომუნისტებმა ნაცად ხერხს მიმართეს, მათ შექმნეს „პატრიოტიზმის“ კომუნისტური პაროდია, მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით“ (Odicharia, 1938: 13-14).

ყველაფერი ეს იმდენად „ეფექტური“ აღმოჩნდა, რომ იგი ევროპას კინაღამ საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა, როცა მის აღმოსავლეთ ნაწილზე კომუნისტური დიქტატურა ძალადობით დამკვიდრდა. მას ჰქონდა პირდაპირი საშუალება, ეხილა რუსული ბოლშევიზმის ნამდვილი სახე. შ. ოდიშარია მართებულად აღნიშნავს, რომ „რუსეთის მიერ დამონებული სხვადასხვა სახელმწიფოები დიდი ხანია ამზადებდნენ მოძრაობას, რომლის მიზანი იყო საკუთარი დამოუკიდებლობის აღდგენა... ბოლშევიზმის ბელადები ხსნას ეძებენ პანრუსულ და პანრუსისტული პატრიოტიზმის გაღვივებაში, რომელიც ემთხვევა თავად ბოლშევიზმს“ - იქვე განმარტავს ავტორი.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყველა ქართველ პატრიოტს ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული რუსიზმისა და ბოლშევიზმის ერთგვაროვნება. ავტორი იქვე შენიშნავს: „იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ სსრ კავშირის უსაზღვროდ დიდ ტერიტორიაზე, მის შიგნით მიმდინარე ეროვნულ პროცესებში, ჩვენ ვფიქრობთ, მაგალითისათვის კარგი იქნება თუ ავიღებდით საქართველოს საკითხს და კარგად შევისწავლიდით მას, რადგანაც ჩვენ ეჭვი გვეპარება იმაში, რომ უცხოელებს ეს საკითხი ესმით“ (Odicharia, 1938: 13-14).

ამ შემთხვევაში, ჩვენ გამოცდილება გვკარნახობს და აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ „უცხოელებს“ ეს საკითხი შეიძლება სათანადოდაც ესმოდეთ კიდეც, მაგრამ მათ უფრო კარგად ესმით საკუთარი პრობლემები და პრაგმატული ინტერესებიც, რომელიც რუსეთის დაშოშმინების სტრატეგიაში გამოიხატება.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ „შეხვედრებს, დებატებს და პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. არავის სურდა უთანხმოება შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა ქვეყნის გამო საბჭოთა რუსეთთან. 1921 წელს მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავისებულ-გააზრებული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპი და ის კონცეფცია, რომლის თანახმადაც თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და საფრ-

თხის შემთხვევაში იგი ერთად დასაცავია“ - ვკითხულობთ აშშ წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესის საგანგებო კომიტეტის სოციალურ ანგარიშში - კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია (Communist takeover, 1955: 25).

ევროპის თუ მაშინდელი დასავლეთის ზემოთ მოტანილი პოზიცია და მისი გამომწვევი მიზეზები არ შეიძლება უცნობი და მიუწვდომელი ყოფილიყო ნ. ჟორდანიასთვისაც; ამიტომაც, აქედან გამომდინარე არაფერი დაუჯერებელი არ არის დამოუკიდებელი საქართველოს გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვებშიც, რომ „თვითონ ნ. ჟორდანიას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება უბრძოლველად“ (კვინიტაძე, 1990: 18) და არც იმაში, რომ „ჟორდანიას სანდო პირადი ინფორმატორი თურმე ყოფილა გენერალი ლებედინსკი (საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა ჯარის ერთ-ერთი სარდალი – უ. ო.), რომელიც ჩანს, იყო ურთიერთობაში ბოლშევიკურ მისიასთან, რადგანაც მოაწყო საიდუმლო შეხვედრა თავის ბინაზე ნ. ჟორდანიასი ამ მისიის სამხედრო წარმომადგენელთან, რასაკვირველია, ბოლშევიკების მისიის ნებართვით“ (კვინიტაძე, 1990: 19).

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ მკვლევარი ლ. ურუშაძე თავის ნაშრომში „ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რეს-პუბლიკაში“, ამბობს: „კრებულში - „დოკუმენტები და მასალები ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის“, - რომელიც საქართველოში მენშევიკების მმართველობისას გამოიცა - „ერთ სიტყვაც არ არის ნათქვამი რაიმე ეროვნულზე და ქართულ თვითშეგნებაზე (მხედველობაში მაქვს მასალები საქართველოს დამოუკიდებლობის გამო-ცხადებამდე); სამაგიეროდ აქ უხვადაა მგზნებარე ფრაზები რუსეთზე, რუსულ დემოკრატიაზე, დიად რევოლუციურ მონაპოვარზე... რუსეთის დროებითი მთავრობისა და მენშევიკური ცაკის დაშლამდე (ნაწილობრივ შემდეგაც), ქართველ მენშევიკთა მთელი იმედები „დიადი რუსეთისაკენ იყო მიმართული“ (ურუშაძე, 1991: 31). „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა და სეიმის შექმნაც იძულებით, დროებით მოვლენად მიაჩნდათ ესდეკებს, აქაოდა რუსეთის დემოკრატიული დამფუძნებელი კრების არჩევის შემ-დეგ უნდა შეედგინა დროებითი ხელისუფლება, რომლის საფუძველიც იქნებოდა:

ა) წაყვანა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა რუსეთის დემო-კრატიასთან კავშირით, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადა-წყვეტის მიმართულებით;

ბ) ავტონომიურად გადაწყვეტა მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა;

გ) მიყვანა მხარისა იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნო-ბილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება, ან როცა გაიხსნება საერთო რუსეთის სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრება“ (ურუშაძე, 1991: 31) (ნოზაძე, 1934: 21).

ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანიამ, მენშე-ვიკურ-ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატობის მსოფლიო მოქალაქეობის თავისებურმა ნაზავმა, ამ სახით ხომ არ განახორციელა ზემოთ მოყვანილი პროგრამა, რადგან ბოლშევიკები რუსეთში მიიჩნია სწორედ ამ, ყველასაგან

აღიარებულ რევოლუციურ ხელისუფლებად?! ამასთან, როგორც ლ. ურუშაძე ამბობს: „ლენინმა და ერის გამყიდველმა ქართველმა ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ მერყევი და ეროვნულ ცნობიერებას მოკლებული ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) სუსტი მხარეები, აკი, ისარგებლეს კიდეც ამით! სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ბოლშევიკთა ესოდენ თავხედობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი“.ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ „ქართველ სოციალ-დემოკრატთა რუსოფილური მიდრეკილება სავსებით გამომჟღავნდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრირებიდან კარგა ხნის შემდეგაც, კერძოდ კი ვისბადენის და შემდეგ მიუნხენის მოლაპარაკებებზე, რომელთაც აწარმოებდნენ რუსული პოლიტიკური დაჯგუფებანი. საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული იქნა მიუნხენში 1953 წლის 16 ოქტომბერს წერილობითი დადგენილების სახით (ნოზაძე, 1934: 37).

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ლ. ურუშაძე აღნიშნავს, „ჯერ კიდევ ვისბადენში რუსეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა დაადასტურეს, რომ რუსებსა და ნაცუმცირესობათა მიერ უნდა შექმნილიყო რუსეთის ყოფილი დროებითი საბჭოს (აღნიშნული საბჭო დათხოვნილი იქნა 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ) სტრუქტურების მქონე ორგანო, რომელიც მიიღებდა ემიგრანტული „პრედპარლამენტის“ სახეს, რა თქმა უნდა, რუსული ძალების აშკარა ჰეგემონიით და წამყვანი როლით. ამ საბჭოში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნაცუმცირესობათა საბჭოები. „ქართული ეროვნული საბჭოს“ სახელით პირველი ამგვარი ორგანო შეიქმნა ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ (რითაც მოახდინეს საქართველოში 1917-1919 წლებში მოქმედი „ეროვნული საბჭოს“ რესტავრაცია). ყველასათვის ცხადი იყო, რომ ამგვარ პოლიტიკურ სარბიელზე გადასვლა, ამგვარ აშკარად რუსულ ბლოკში მოღვაწეობა, ნიშნავდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროშის ქვეშ გაერთიანებას და ველიკორუსული განუყოფლობის კვლავ აღიარებას“ (ასათიანი, 1953: 12-13).

ეს ტენდენცია საბოლოოდ დადასტურდა მიუნხენის შეთანხმებით, რომელიც აღიარებდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროინდელ მმართველობის სტრუქტურებს და უარყოფდა ყოველგვარი სხვა სახის რესტავრაციას.

ქართველი სოციალ-დემოკრატები „მოწოდების სიმაღლეზე“ აღმოჩდ-ნენ. „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ“, სოციალ-დემოკრატთა მეთაურობით, თანხმობა განაცხადა მიუნხენში დაარსებულ „საკოორდინაციო ცენტრის შემადგენლობაში შესვლაზე და მისმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საბოლოო დოკუმენტს (ასათიანი, 1953: 15-21). ამგვარი ქმედება მიუღებელი იყო არა მარტო ქართული ემიგრაციისათვის, არამედ მთელი ქართველი ერისთვის (ურუშაძე, 1991: 39), რადგანაც „სრული მოულოდნელობა იყო ქართველი სოციალისტების აქტიური მონაწილეობა ისეთ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და მის კონსტიტუციას, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მისი მთავრობის ყოველგვარ ნამოქმედარს; 1917-1922 და 1924 წლების აჯანყებათა წმინდა მიზანსა და დროშას... ასეთი

მოქმედება მძიმედ აზიანებს არა მარტო ქართული ემიგრაციის სახელსა და მორალს, არამედ მთელი ერის ზნეობრივ სახეს“ (ურუშაძე, 1991: 39). რასაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით და დავძენთ, რომ ამ ქმედებით მათ, მართლაც, ხაზი გადაუსვეს ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის 3 წლიან ისტორიას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული თვალნათლივ გვიჩვენებს, ნ. ჟორდანია ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთის ერთგულ ჯარისკაცად.

როდესაც რუსეთში დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და რუსეთის უმთავრესი საბჭოს – პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოების ორხელისუფლებიანობით გამოწვეული ანარქია სუფევდა, არ გამოიყენა რუსეთის დასუსტების ყველასათვის სასარგებლო მომენტი, როგორც ეს პოლონეთმა და ფინეთმა მოახერხეს. ფაქტია ისიც, რომ 1918 წლის 26 მაისის აქტისთვის მხარდაჭერით ნ. ჟორდანია და მისი მიმდევრები გაემიჯნნენ რუსულ ბოლშვიზმს და არა რუსეთს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ნ. ჟორდანია ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთის ერთგულ ჯარისკაცად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა :

Aide-Memoire. (1933). Paris, 27 Ianvier.

asathiani, a. (1953). amerika da ruseti. *Iveria.* № 5-6. Parizi. (ასათიანი, ა. (1953). ამერიკა და რუსეთი. ივერია. № 5-6. პარიზი.).

Communist takeover and occupation of Georgia. (1955). *Special report № 6 of the select committee communist agresion house of representatives eighty thind congress second session.* Government Printing office. Washington.

Gvazava, g. (1938). La problem Georgien et la situation internacionale. *La Georgia.* №1. Paris.

guruli, v. (1999). *noe jordania. politikuri portreti. 1869-1958*. tbilisi: gamomtsemloba ”inteleqti”. (გურული, ვ. (1999). ნოე ჟორდანია. *პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.).

kvinitadze, g. (1990). *tschemi pasuxi*. tbilisi. (კვინიტაძე, გ. (1990). *ჩემი პასუხი. თბილისი*).

meliqisvili, g. (1978). zogierti ganmarteba. *macne, istoriis, arqeologiis, etnografiisa da xelovnebis istoriis seria.* 4. tbilisi. (მელიქიშვილი, გ. (1978). ზოგიერთი განმარტება. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების იტორიის სერია.* N 4. თბილისი.).

meliqisvili, g. (1968). saqarthvelos istoriis sheswavcla oqtombris socialisturi revoluciis 50 wlisthavze. *Saistorio werilebi*. I. tbilisi. (მელიქიშვილი, გ. (1968). საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე. *საისტორიო წერილები.* I. თბილისი.).

nozadze, v. (1934). qartuli marqsizmi da erovnuli sakithxi. *ornati*. № 3. Parizi.

(ნოზაძე, ვ. (1934). ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი. *ორნატი*. № 3. პარიზი.).

odicharia, Ch. (1938). La Georgia en face de l'Europe et de Moscou. *La Georgia.* №1. Paris.

jordania, n. (1900). qartuli presa (gushin da dges). *kvali*. tbilisi. (ჟორდანია, ნ. ქართული პრესა (გუშინ და დღეს). *კვალი*. თფილისი. 1900.).

Jordania, N. (1948). *La probleme Georgian.* Paris.

urushadze, l. (1991). *bolscevizm-menshevizmi saqartvelos demokratiul respublikashi.* tbilisi: gamomcemloba "metsniereba". (ურუშაძე, ლ. (1991). *ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება").

tschavtschavadze, i. (1962) tsodebata tanasworoba*. thxzulebata sruli krebuli 5 tomad*. t. V. tbilisi. (ჭავჭავაძე, ი. (1962). წოდებათა თანასწორობა. *თხზულებათა სრული კრებული 5 ტომად.* ტ. V. თბილისი.).